საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის

ბრძანება №21
2026 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერისა და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის 2025 წლის 16 ოქტომბრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერისა და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის 2025 წლის 16 ოქტომბრის №18 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 16/10/2025, 010240030.22.037.016215) დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერისა და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის, მუნიციპალიტეტებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე წარდგენილი ცხრილი №3-ით განსაზღვრული CPV კოდების (45100000, 45200000, 45300000, 45400000) ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე შესყიდვის ობიექტის შესახებ წარდგენილი ინფორმაციის მიღება და კოორდინაცია;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს რეგიონული
განვითარების მინისტრი **კახაბერ გულედანი**